



# ონის მუნიციპალიტეტის მერია

## ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 1576  
02/07/2019

1576-02-4-201907021800



**“ონის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების მიზნით  
სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ” ონის მუნიციპალიტეტის მერის  
2019 წლის N1575 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება “ონის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ” ონის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის N1575 ბრძანებაში, კერძოდ: სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას წევრად დაემატოს გივი ბერიშვილი- ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“-ს წამყვანი მეცნიერთანამშრომელი.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს თანახმად.

დიმიტრი საყვარელიძე

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

